ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებათა და ხელოვნების ფალუტეტი

პროგრამა: გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება

საფეხური: სამაგისტრო

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის პირობები და შეფასების სისტემა

საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველმა უნდა გაიაროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა:

- ტესტი / წერილობითი გამოცდა გერმანულ ენაში;
- ზეპირი გამოცდა (გერმანულ ენაზე).

კანდიდატი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. ტესტირებისა და ზეპირი გამოცდის ხვედრითი წილი განისაზღვრება შემდეგნაირად:

- გერმანული ენის გამოცდა - 50 ქულა
- ზეპირი გამოცდა - 50 ქულა (ზეპირი გამოცდა გაიმართება დარგობრივ კომისიასთან გერმანულ ენაზე).

წერილობითი გამოცდა:
ტესტის/წერილობითი გამოცდის საფუძველზე კანდიდატმა უნდა დაადასტუროს გერმანურლი ენის კომპეტენცია მინიმუმ B2 დონეზე. (ტესტის მინიმალური ზღვარია 51%). ტესტი ჩატარდება
ზეპირ გამოცდამდე. კანდიდატი გათავისუფლდება ტესტისგან, თუ ის წარმოადგენს გერმანული ენის მინიმუმ B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელ ვალიდურ საერთაშორისო სერტიფიკატს(TestDaf, CMP, COP, KDS, DSH, GDS).
იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატმა ვერ გადალახა ტესტზე დაწესებული მინიმალური ზღვარი ან ვერ წარმოადგინა ზემოთ მითითებული ვალიდური საერთაშორისო სერტიფიკატი, გამოირიცხება ჩასარიცხ კანდიდატთა სიიდან.

ზეპირი გამოცდა:
ზეპირ გამოცდაზე კანდიდატმა უნდა გამოავლინოს:

1. დარგობრივი ცოდნა არჩეული სფეროს შესახებ ინფორმაცია(10 ქულა);
2. მოტივაცია და სამომავლო ხედვა (20 ქულა);
3. მიღწევები და გამოცდილება (პროფესიული, აკადემიური და სხვა) (10 ქულა)
4. კომუნიკაციის და ლოგიკური მსჯელობის უნარი (10 ქულა).

შეფასების კრიტერიუმები

დარგობრივი ცოდნა და არჩეული სფეროს შესახებ ინფორმაცია	**ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
საკითხის ცოდნა (თეორიები, ცნებები, კონცეფციები)		**5**
დარგის თანამედროვე პრობლემატიკის ცოდნა		**5**
	ჯამი	**10**

მოტივაცია და სამომავლო ხედვა	**ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
მოტივაციის მკაფიოდ და ნათლად წარმოჩენა		**5**
აპლიკანტის საგანმანათლებლო მიზნების და პროგრამის მიზნების თანხვედრა		**5**
პროფესიული განვითარების და კარიერული ზრდის საჭიროებების გააზრება		**5**
პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის გამოყენება პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის პერსპექტივიდან		**5**
	ჯამი	**20**

მიღწევები და გამოცდილება	**ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
მიღწევების მრავალფეროვნება (მაგ. გამოქვეყნებები, პროექტები, მათ შორის აკადემიური პროგრამის ფარგლებში, გრანტები, ჯილდოები, სერტიფიკატები, სამუშაო გამოცდილება და ა.შ.)		**3**
აპლიკანტის მიერ თავისი მიღწევების შეფასება/რეფლექსია		**3**
სფეროში მუშაობის გამოცდილება		**4**
	ჯამი	**10**

კომუნიკაციის და ლოგიკური მსჯელობის უნარი	**ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
ქართულ და გერმანულ ენებზე გამართული კომუნიკაციის უნარი		**5**
აუდიტორიასთან კავშირის დამყარების უნარი		**5**
	ჯამი	**10**
სულ		**50**

იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი წერითი და ზეპირი გამოცდების შემდეგ მაქსიმალური 100 ქულიდან დააგროვებს 50 ან ნაკლებ ქულას, გამოირიცხება კანდიდატთა სიიდან.